სანოტარო აქტი

ორი ათას თოთხმეტი წლის პირველ მაისს მე, ნოტარიუს თამარ ონიანს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს თბილისში, აკ. წერეთლის გამზ. №97, მომმართა შპს „ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების სკოლა-ლიცეუმი სხივი"-ს დირექტორმა ემრულლაჰ დემირმა, რომელმაც მოითხოვა მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ეკატერინე კოკოლაშვილს. მე დავადგინე ემრულლაჰ დემირის ბინადრობა მის მიერ წარმოდგენილი დროებითი ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ემრულლაჰ დემირმა (დაბადებული 28/01/1982წელს თურქეთში, მისამართი: თბილისი, დიდი დიღომი, გ. ბრწყინვალეს ქ. 1, ბინა 15, ბარათის №13TR04166, პირადი №01097000846, გაცემული 05/03/2014წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ) მომმართა. მე დავადგინე შპს „ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების სკოლა-ლიცეუმი სხივი"-ს დირექტორის ემრულლაჰ დემირის უფლებამოსილება ამონაწერით სამეწარმეო რეესტრიდან, მომზადების თარიღი: 19/03/2014წ. რეგისტრირებული 20/06/2008წელს, თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო №205257407, ქმედუნარიანობა და ნების გამოხატვის ნამდვილობა.
მინდობილობის გამცემს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მინდობილობის გამცემმა წაიკითხა ეს მინდობილობა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

ორი ათას თოთხმეტი წლის პირველ მაისს ამ მინდობილობით შპს "ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების სკოლა-ლიცეუმი სხივი"-ს დირექტორმა ემრულლაჰ დემირმა, შემდგომში „მინდობილობის გამცემი"
ეკატერინე კოკოლაშვილს (დაბადებული 15/06/1973წელს პირადი №01008017172), რომელიც შემდგომში წოდებულია, როგორც –„მინდობილი პირი", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:
იყოს ჩემი, როგორც შპს "ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების სკოლა-ლიცეუმი სხივი"-ს დირექტორის ემრულლაჰ დემირის წარმომადგენელი ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებით, კერძოდ: შპს "ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების სკოლა-ლიცეუმი სხივი"-ს კუთვნილ ნაგებობაზე (მდებარე მისამართზე: თბილისი, დიდი დიღომი, მისის დასახლება №368) მსუბუქი კონსტრუქციის უფუნდამენტო მიშენების საქმის წარმოებისათვის. ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს, რაც დაკავშირებული იქნება ამ საქმესთან.
მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია 2015 წლის პირველ მაისამდე.
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებისა მუხლი №31, პუნქტი 7) 10.00 ლარი და 39 მუხლის I პუნქტისა 2.00 ლარი

ემრულლაჰ დემირი

ნოტარიუსი: _____ (თამარ ონიანი)

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

86546602785114

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140428174

რეგისტრაციის თარიღი

01.05.2014 წ

ნოტარიუსი: თამარ ონიანი
მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 97
ტელეფონი: 2-34-26-04

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18